ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N99/01/23

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის დავით შერაზადიშვილის სახით და **მეორეს მხრივ შპს „გეგაპიქსელი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მურმან ქვათაძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით,რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველ ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს - **ფოტოაპარატის (ერთი კომპლექტი)** (CVP 38651000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **9980 (ცხრაათას ცხრაას ოთხმოცი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 ფასების ცხრილი - ინვოსი - დანართი N1.

4 საპატენტო უფლებები

4.1 საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე საპატენტო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
5.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6 საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდება იწარმოებს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 20 მაისის ჩათვლით.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) ხელშეკრულების 3,3 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი რაოდენობის საქონელი.
7.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:
7,2,1 ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის თანაშემწე - დარეჯან ოქრუაშვილი.
7,2,2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების უფროსი -- თამარ ჩაკვეტაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.
8.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.
8.3 ანგარიშსწორების ვადა – საქონლის მიღებიდან (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 10 სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)-ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)-ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებლს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებლს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას,თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა დადაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით,ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ,რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება,დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს,იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით,თუ ამ თარიღებიდანრომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 აგვისტომდე, გარდა ხელშეკრულების 18,6 პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებებისა.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით,ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ,რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18,6 მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს. საგარანტიო პერიოდში, მიმწოდებელი ვალდებულია - 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს დაზიანებული/წუნდებული საქონლის შეკეთება ან ახლით ჩანაცვლება, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

19. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სახელმწიფო ხაზინა; ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

„მიმწოდებელი“
შპს „გეგაპიქსელი“
მის: ქ. თბილისი, ცაბაძის 8
ს/კ 404973640
სს საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22
ა/ა **GE80BG0000000781857200**

მუნიციპალიტეტის მერი:
დავით შერაზადიშვილი

Murman Kvatadze 01023011641

Digitally signed by Murman Kvatadze
Date: 2023.05.10 15:52:17

შ.პ.ს ,,გეგაპიქსელი''

თარიღი	08.05.2023
ინვოისის ნომერი	1040

გამყიდველი

შ.პ.ს ,,გეგაპიქსელი''
მისამართი: ქ. თბილისი ცაბაზის 8
სავაჭრო ცენტრი ,,კიდობანი'' მაღაზია N 64
საიდ. კოდი:404973640
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:GE80BG0000000781857200GEL
საკ ნომერი: 593629075
lev.khvedelidze@gmail.com

შემსყიდველი

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

პროდუქტის დასახელება	[illegible]	ფასი	ჯამი
canon EOS R BODY	1	4800 ლარი	4800 ლარი
canon RF 24-105 F4	1	3600 ლარი	3600 ლარი
canon RF 50mm 1.8	1	630 ლარი	630ლარი
canon 430 EX III RT	1	800 ლარი	800 ლარი
GP battary 4AA	1	50 ლარი	50 ლარი
ჩანთა EOS	1	100 ლარი	100 ლარი

შენიშვნები

9980 ლარი

დირექტორი:

ტექნიკაზე ვრცელდება 2 წლიანი გარანტია

* საქართველო, შპს "გეგაპიქსელი" * GEORGIA. 404973640 "GEGAPIXELI" LTD *